



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული სისტემები, მაგისტრატურა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 21 დეკემბერი 2020წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1/03/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციული სისტემები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი #185 11/07/2012წ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გულადი ფარტენაძე. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სიხარულიძე, სტუდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციული სისტემები“ 2009-2010 წლიდან ხორციელდება. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი #185 11/07/2012წ.). პროგრამა წარმდგენილია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად ((საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილი. №69/ნ ბრძანება).

პროგრამის განხორციელების ენა არის ქართული. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **ინფორმაციული სისტემების მაგისტრი (0613)**. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი): სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 35 კრედიტი; კონცენტრაციის სავალდებულო კურსები 30 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი; არჩევითი საგნები - 25 კრედიტი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (Information and Communication Technologies ICT) დარგის თანამედროვე მიღწევებს, ამზადებს სპეციალისტებს კომპიუტერული სისტემების კვალიფიკაციით, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან შრომით ბაზარზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 21 დეკემბერს.

2020 წლის 21 დეკემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე ონლაინ რეჟიმში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მოგვანოა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ამსახველი ვიდეო მასალა და ჩვენი მხრიდან განხორციელდა ამ მასალის დათვალიერება. ასევე გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები და რეცენზიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მეორე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან მიგვაჩნია, რომ პროგრამა უნდა გაძლიერდეს ისეთი თემატიკებით, როგორებიცაა უსაფრთხოება და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები; ასევე უნდა გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი; დაემატოს საგანი, სადაც შეისწავლიან ინფორმაციულ სისტემებში გამოყენებულ კვლევით მეთოდებს. რიგ საგნებში უნდა განახლდეს ლიტერატურა და საგანში „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება,, სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში. რიგ საგნებში უნდა ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კრიტერიუმები.

- **რეკომენდაციები**

- პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი
- პროგრამაში დაემატოს ღრუბლოვანი სისტემების სასწავლო კურსი ან აღნიშნული საკითხის თემატიკები ჩაემატოს ძირითადი საგნების შინაარსში.
- პროგრამაში უსაფრთხოების საკითხები თემატიკების მიხედვით იქნას გაწერილი ყველა ძირითადი საგნის სილაბუსებში ან დაემატოს შესაბამისი საგანი.
- პროგრამაში დაემატოს საგანი ან თემატიკა სადაც სტუდენტები შეისწავლიან ინფორმაციულ სისტემებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს.
- განახლდეს „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები“ მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ქართულენოვან ლიტერატურას ჩაემატოს გამოშვების წლები.
- საგანში „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია II“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს სასწავლო მასალის ამსახველი ლინკები ან შესაბამისი ლიტერატურა.
- „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება,, სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში
- საგნებში „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია I“, „ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“ და სხვა, ჩაიშალოს პროექტის შეფასების კრიტერიუმები.

- სასწავლო კურსში „სამაგისტრო ნაშრომი“ გაიწეროს ხელმძღვანელთან მუშაობის ქულის კრიტერიუმები.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინფორმატიკის მისაღებ გამოცდაში დაემატოს საკითხები მონაცემთა ბაზების თემატიკიდან

სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგში „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ აისახოს ჩანაწერი მეშვიდე დონის შესაბამისად.

პროგრამაში არჩევით საგნად დაემატოს „პრაქტიკა“.

დაკონკრეტდეს არჩევით სასწავლო კურსებში მითითებული 10 კრედიტი

საგანი „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“, რომელიც წარმოადგენს B კონცენტრაციის საგანს, გახდეს ყველასთვის სავალდებულო.

პროგრამის სამომავლო მდგრადობიდან გამომდინარე სასურველია, თუ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი სამომავლოდ განიხილავდა ორი კონცენტრაციის გაერთიანების საკითხს.

სამაგისტრო დონეზე არ არის სასურველი სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება.

სამაგისტრო ნაშრომებში მეტი აქცენტი დაეთმოს ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებულ კვლევის საკითხებს.

ინფორმაცია ქულის გასაჩივრებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ გახდეს მეტად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

უმჯობესი იქნება თუ სტუდენტებისთვის შემუშავდება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წამახალისებელი ღონისძიებები.

სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისათვის საჭირო ქედითი ღონისძიებები.

სასურველია თუ შემუშავდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

სასურველია პროგრამაში უფრო მეტი ახალგაზრდა პრაქტიკოსი კადრის ჩართვა.

სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით

სასურველია პროგრამას ჰქონდეს გარკვეული ტიპის საგარანტო დაფინანსება ინდუსტრიისაგან, მათთვის პროექტების განხორციელების მიზნით.

სასურველია გარემუფასების მექანიზმში ჩაერთოს ინდუსტრიის წარმომადგენელი

გაუმჯობესდეს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, მოხდეს დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა.

კითხვარები უფრო შემოკლდეს და შეიცავდეს კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებს, რაც თავის მხრივ დაზოგავს კითხვარის შევსების დროს და გაზრდის უკუკავშირსაც

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2012 წლიდან დღემდე პროგრამაში განხორციელებულია მთელი რიგი ცვლილებები, დარგის სწრაფად განვითარებიდან გამომდინარე:

- შეიცვალა შემდეგი საგნების შინაარსი და დასახელება: „ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები“ - „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა“, „ქსელები და ქსელური ტექნოლოგიები“ - „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“. „მონაცემთა ბაზები I“ - „თანამედროვე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, „მონაცემთა ბაზები II“ ამოღებული იქნა პროგრამიდან, „ინტელექტუალური სისტემები“- „ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში“, „გადაწყვეტილების მიღების ინტელექტუალური სისტემები“ - „გადაწყვეტილების მიღების მოდელები და სისტემები“.
- შრომის ბაზრის ანალიზის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გათვალისწინებით პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები: „ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები“, „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“, „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“.
- პროგრამაზე დაშვების პირობებს დაემატა გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონის შესაბამისი).

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციული სისტემები“ მიზანი ეფუძნება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს (შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა ანალიზის დოკუმენტი). პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებულია. პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევადობას. პროგრამის მიზანია:

- კურსდამთავრებულს შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული სისტემების მუდმივად განვითარებად სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა შემდგომი პროფესიული საქმიანობისა და კვლევითი აქტივობის წარმატებული განხორციელებისათვის, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე, აგრეთვე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე;
- ხელი შეუწყოს დარგის განვითარებას, ინფორმაციული სისტემების დანერგვას ეკონომიკის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში.
- პროგრამის მიზნების სრულყოფისთვის პროგრამა მუდმივად ვითარდებოდა შრომის ბაზარზე ახალი მოთხოვნების გაჩენის შესაბამისად. შრომის ბაზრის ანალიზის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გათვალისწინებით პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები: „ორგანიზაციის ინფორმაციული მოდელები“, „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“, „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“, რასაც ადასტურებს „შრომის ბაზრის ანალიზის“ დოკუმენტი და ასევე დასტურდება ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

• ინტერვიუს შედეგები • ვებ გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით და შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციის. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია სწავლის 6 შედეგი, რომლებიც დაყოფილია შემდეგნაირად: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია. ამავდროულად, სწავლის შედეგები იძლევა როგორც

სწავლის გაგრძელების, ასევე, დასაქმების შესაძლებლობას და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რასაც მოწმობს კურსდამთავრებულთა დასაქმების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი. სწავლის შედეგების შედგენის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ყოველი საგნის სწავლის შედეგების მიღწევადობის დონის მიხედვით. პროგრამაში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელი სასწავლო კურსით ხდება პროგრამის შედეგის მიღწევა.

უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდად გამოყენებულია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვის და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესება. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმებით: პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყოველი საგნის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, ყოველი სწავლის შედეგისთვის კი შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდი.

სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი დროულად იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგს, უშუალოდ კურსის ლექტორთან გასაუბრების საფუძველზე.

პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც იცნობს პროგრამის შედეგებს და მათი შეფასების ინსტრუმენტებს.

როგორც გასაუბრებიდან და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებაში პროცესში. ისინი პერიოდულად იღებდნენ მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ კითხვარებში, ასევე თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში (შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი - დანართი 13).

პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი მოსაზრება:

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანართი 1-ის მეშვიდე (მაგისტრატურის) დონის შესაბამისად - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა მოითხოვს, რომ მაგისტრანტს შეეძლოს „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად

წარმართვა“. აღნიშნულ პროგრამაში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო კურსების ნაწილი შინაარსობრივად გადის ამ შედეგზე, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგებში ეს არ არის ასახული და საუბარია მხოლოდ „სშმ - საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა“. სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგში „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ აისახოს ჩანაწერი მეშვიდე დონის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის დადგენილება №100/2019 – „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ https://tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2019/1002019//
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ პროგრამის სწავლის შედეგში „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ აისახოს ჩანაწერი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონის შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის „ინფორმაციული სისტემების“ წინაპირობაა: მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი; მინიმუმ 10 ECTS კრედიტი უმაღლესი მათემატიკის დისციპლინებში; მინიმუმ 10 ECTS კრედიტი პროგრამირებაში; საერთო სამაგისტრო გამოცდა, რომელიც მოიცავს გამოცდას ინფორმატიკაში და გამოცდას ინგლისურ ენაში (B2 დონის შესაბამისი). მისაღები გამოცდების საკითხები და შეფასების სისტემა წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამაზე მისაღები საგამოცდო საკითხები ინფორმატიკაში, რომელიც მოიცავს დაპროგრამების და ალგორითმიზაციის საკითხებს. თუმცა პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში არის ისეთი საგნები

რომლების შესწავლა მოითხოვს მონაცემთა ბაზების საფუძვლების ცოდნას, ამიტომ სასურველია საგამოცდო ბილეთს დაემატოს აღნიშნული თემატიკის საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ Web გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ინფორმატიკის მისაღებ გამოცდაში დაემატოს საკითხები მონაცემთა ბაზების თემატიკიდან
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია თსუ-ში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის შესაბამისად. პროცედურა ასეთია: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამა ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა - თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც პროგრამა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიურ საბჭოს.

სამაგისტრო პროგრამა თსუ-ში მოქმედებს 2009-2010 სასწავლო წლიდან. 2012 წელს პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება მაგისტრატურის სწავლების საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი (სილაბუსებში აღწერილი თემების გათვალისწინებით) ძირითადად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის საერთო მოცულობაა 120 კრედიტი (1 ECTS – 25 საათი). პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები -35 კრედიტი
- კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები -25 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი

პროგრამა შედგება ორი არჩევითი კონცენტრაციისგან

კონცენტრაცია A - ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი კონცენტრაცია A ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ინფორმაციული სისტემების მიმართულებით.

კონცენტრაცია B - ინტელექტუალური კონცენტრაცია B ორიენტირებულია სამეცნიერო კვლევებზე თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა მთლიანობაში შეადგენს 30 კრედიტს, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს 25 კრედიტი. ამიტომ სასურველია გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი პროგრამაში. არჩევით საგნებთან მიმართებით პროგრამაში არის შემდეგი ჩანაწერი „სასწავლო კურსების არჩევა აგრეთვე შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამებიდან „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ და „კომპიუტერული მეცნიერება“ (არაუმეტეს 10 კრედიტისა)“, სასურველია აღნიშნული კრედიტები გაიწეროს ან თავისუფალი კომპონენტების სახით ან არჩევითი კომპონენტების სახით.

პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობაა 14. ტუდენტების მხრიდან კონცენტრაციების არჩევის შემთხვევაში ჯგუფში შეიძლება იყოს 3-4 სტუდენტი (დადგინდა ინტერვიუებიდან). შესაბამისად პროგრამა წამგებიანია, თუმცა ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ მათთვის ეს ორივე კონცენტრაცია მნიშვნელოვანია და მათი დაფინანსება ხორციელდება უმეტესად ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა, თუ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი სამომავლოდ პროგრამის მდგრადობიდან გამომდინარე განიხილავდა ამ კონცენტრაციების გაერთიანებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის კურსდამთავრებულის მომზადებას.

პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი მოსაზრებები:

1. სასურველია პროგრამაში საგანი „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“, რომელიც წარმოადგენს B კონცენტრაციის საგანს, გახდეს ყველასთვის სავალდებულო, რადგან დღესდღეობით ინფორმაციული სისტემები წარმოუდგენელია დიდი მონაცემების დამუშავების გარეშე.
2. პროგრამაში დაემატოს ღრუბლოვანი სისტემების სასწავლო კურსი ან აღნიშნული საკითხის თემატიკები ჩაემატოს ძირითადი საგნების ნუსხაში. აღნიშნულთან დაკავშირებით კურსდამთავრებულმაც გამოთქვეს მოსაზრება, რომ ეს საკითხები პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.
3. პროგრამაში არჩევით საგნად შემოთავაზებულია „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“ და „ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცვა“. ამ საგნებიდან პირველში მხოლოდ ერთი თემატიკაა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებაზე და ამასთან თუ ეს საგანი არ აირჩიეს სტუდენტებმა, მაშინ სისტემების უსაფრთხოებას ვერ ისწავლიან. გამომდინარე აქედან, სასურველია უსაფრთხოების საკითხები თემატიკების მიხედვით იქნას გაწერილი ყველა ძირითადი საგნის სილაბუსებში.
4. სასურველია პროგრამაში დაემატოს საგანი სადაც სტუდენტები შეისწავლიან ინფორმაციულ სისტემებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს.
5. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ახალი ინოვაციური ლაბორატორიის მოწყობა, თუმცა პროგრამის განვითარების მიზნით მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტს აქვს პოტენციალი, რომ დამსაქმებლები უფრო მეტად ჩართოს პროგრამის განხორციელებაში და ამიტომ სასურველია არჩევით სასწავლო კურსებში დაემატოს პრაქტიკა, რაც ასევე მითითებულია სტუდენტების გამოკითხვაში, სადაც გამოკითხულთა უმრავლესობა მოითხოვს პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა უმეტესად იძლევა ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა მუშავდება პერიოდულად და განიცდის ცვლილებებს ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია - ხშირ შემთხვევაში სტუდენტები უკვე დასაქმებულები არიან პროგრამაზე ჩარიცხვამდე ან მუშაობას იწყებენ სწავლის პერიოდშივე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

1. პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი
2. პროგრამაში დაემატოს ღრუბლოვანი სისტემების სასწავლო კურსი ან აღნიშნული საკითხის თემატიკები ჩაემატოს ძირითადი საგნების შინაარსში.
3. პროგრამაში უსაფრთხოების საკითხები თემატიკების მიხედვით იქნას გაწერილი ყველა ძირითადი საგნების სილაბუსებში.
4. პროგრამაში დაემატოს საგანი ან თემატიკა, სადაც სტუდენტები შეისწავლიან ინფორმაციულ სისტემებში გამოყენებულ კვლევის მეთოდებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამაში არჩევით საგნად დაემატოს „პრაქტიკა“.

დაკონკრეტდეს არჩევით სასწავლო კურსებში მითითებული 10 კრედიტი

საგანი „დიდ მონაცემთა ნაკრებების დამუშავება“, რომელიც წარმოადგენს B კონცენტრაციის საგანს, გახდეს ყველასთვის სავალდებულო.

პროგრამის სამომავლო მდგრადობიდან გამომდინარე სასურველია, თუ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფი სამომავლოდ განიხილავდა ორი კონცენტრაციის გაერთიანების საკითხს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგთან. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება. თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგ საგნებში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას: „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები“. ასევე აღნიშნულ საგნებში სასურველია მიეთითოს ქართულენოვანი ლიტერატურის გამოშვების წლები.

ასევე საგანში „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია II“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მითითებულია ვებ ლინკები, რომლებიც არ გადადის სასწავლო მასალაზე.

სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადა, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში კურსისთვის დათმობილი სათანადო მოცულობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებით და სილაბუსში ლექტორის მიერ განსაზღვრული სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდებით.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად ლექტორების მიერ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის მეთოდები. პროგრამის სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსში. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა ყოველი სემესტრის დაწყებამდე ხდება პროგრამაში არსებული კურსების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი განახლება დარგში მომხდარი სიახლეების/მიღწევების ანალიზის საფუძველზე.

სასწავლო კურსებთან მიმართებაში გვაქვს შემდეგი მოსაზრებები: • საგანი „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება“ სათაური ნაწილობრივ არ შეესაბამება შინაარსს. ძირითადი აქცენტი ამ სილაბუსში გაკეთებულია კრიპტოგრაფიაზე. აქედან გამომდინარე სათაური და შინაარსი უნდა მოვიდეს თანხვედრაში. • სილაბუსებში მითითებულია ლიტერატურის გვერდები. სამაგისტრო დონეზე არ არის სასურველი გვერდების მითითება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: 1. განახლდეს „პროგრამული უზრუნველყოფის ეკონომიკა“, „ბაზარზე გამოყენებული ინფორმაციული სისტემები“ მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა და ქართულენოვან ლიტერატურას ჩაემატოს გამოშვების წლები. 2. საგანში „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია II“ ძირითად და დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს სასწავლო მასალის ამსახველი ლინკები ან შესაბამისი ლიტერატურა. 3. „კომპიუტერული ქსელები და უსაფრთხოება,, სათაური და შინაარსი მოვიდეს თანხვედრაში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო დონეზე არ არის სასურველი სილაბუსებში ლიტერატურის გვერდების მითითება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული დავალებების შესრულებით

პროგრამის დასკვნითი ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს კვლევით კომპონენტს და სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების შემაჯამებელია. სტუდენტისთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ოთხი სამაგისტრო ნაშრომი და რეცენზიები. ყველა ნაშრომში დაცულია ნაშრომის სტრუქტურა უდს-ში არსებული “სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესის” მიხედვით და შინაარსით შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ ნანახი ოთხი ნაშრომიდან ორი უფრო მეტად ეხება ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინფორმაციული მეცნიერების დარგს. ჩვენ გვესმის, რომ ეს დარგები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა სასურველია, რომ ინფორმაციული სისტემების კვალიფიკაციაზე გამსვლელ სამაგისტრო ნაშრომში მეტი აქცენტი დაეთმოს ამ დარგთან დაკავშირებულ კვლევას.

ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კვლევით პროექტში. კერძოდ, მონაწილეობა მიიღონ ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებში, აგრეთვე, სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

1. საგანებში „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „პროგრამული

უზრუნველყოფის ინჟინერია I“, „ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“ და სხვა ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კრიტერიუმები. 2. სასწავლო კურსში „სამაგისტრო ნაშრომი“ გაიწეროს ხელმძღვანელთან მუშაობის ქულის კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი
რეკომენდაციები: 1. საგანებში „ინფორმაციული სისტემების ანალიზი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია I“, „ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში“, „ინფორმაციული სისტემების დიზაინი“ და სხვა ნათლად გაიწეროს პროექტის შეფასების კრიტერიუმები. 2. სასწავლო კურსში „სამაგისტრო ნაშრომი“ გაიწეროს ხელმძღვანელთან მუშაობის ქულის კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სამაგისტრო ნაშრომებში მეტი აქცენტი დაეთმოს ინფორმაციულ სისტემებთან დაკავშირებულ კვლევის საკითხებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის დონეს. პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მეცადინეობები, პრაქტიკა, პროექტი, დამოუკიდებელი მუშაობა. რაც შეეხება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამის აქტივობებს, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL პროექტი: ზეპირი, PBL, ელექტრონული, კოოპერატიული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში (Brain storming), ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.

ამ მიდგომების მიზანს წარმოადგენს, მისცეს სტუდენტებს რეალური სამუშაო გამოცდილება. პროექტებზე მუშაობა აძლევს სტუდენტს გაიმყაროს მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად გამოყენებაში.

უდს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შშმ სტუდენტებისთვის ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას, რაც გულისხმობს მათთვის დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობას და სხვა.

ამ კომპონენტების ერთობლიობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №68/2018 – „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.tsu.ge/ge/juridical/acad_council_resolutions/2018acad/682018//; თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ცალკეული სილაბუსების განხილვისა და
--

ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, გამჭვირვალედ და კანონმდებლობასთან შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების კომპონენტების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება აქვთ თითოეული საგნის სილაბუსის საშუალებით, მიღწეული შედეგები კი ქულების სახით აისახება სასწავლო პროცესის მართვის სისტემებში - sms.tsu.ge, lms.tsu.ge და ელექტრონული სწავლების პორტალი e-learning.tsu.ge. უნივერსიტეტში არსებობს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი, რომელიც უმჯობესი იქნება თუ მეტად გამჭვირვალე იქნება სტუდენტებისთვის, რადგან აღნიშნული ინფორმაცია არ არის გამოქვეყნებული საჯაროდ.

სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ პირისპირ/ონლაინ შეხვედრების, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული სწავლების პორტალის e-learning.tsu.ge საშუალებით.

ძირითად შემთხვევაში, პროგრამის კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ქულის გასაჩივრების მექანიზმი, თუმცა ინტერვიუების საფუძველზე გაირკვა, რომ სტუდენტების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას პროცედურების შესახებ, რადგან ქულის გასაჩივრების საჭიროება არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, უმჯობესი იქნება თუ ადმინისტრაცია სტუდენტებისთვის თვალსაჩინოდ გამოაქვეყნებს ქულის გასაჩივრების წესსა და დეტალურ პროცედურას.

ლექტორებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები ცხადყოფს რომ სტუდენტთა შეფასებების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ინფორმაცია ქულის გასაჩივრებისა და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ გახდეს მეტად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მტკიებულებები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა საკონსულტაციო და კარიერული ცენტრები. საკონსულტაციო ცენტრში ცხელი ხაზის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და სხვადასხვა პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელობით ადმინისტრაციას შექმნილი აქვს საკონსულტაციო ჯგუფი სოციალურ ქსელში სადაც სტუდენტებს შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მიღება. უნივერსიტეტში არსებული კარიერული ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დარგის შესაბამისი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელ-ფოსტისა და ვებ-გვერდის საშუალებით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ინტერვიუსას დაადასტურეს სტუდენტებმაც. სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული განვითარების პროცესში ჩართულია პროგრამისა და ფაკულტეტის პერსონალიც, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ამტკიცებს პროგრამის ფარგლებში დამსაქმებლებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების სიმცირეს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო მობილობით ისარგებლა პროგრამის მხოლოდ ერთმა სტუდენტმა. მობილობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზად ადმინისტრაცია ასახელებს სტუდენტების მხრიდან ნაკლებ ინტერესს. სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში მობილობის შესაძლებლობების შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია თუმცა არასოდეს უცდიათ კონკურსში მონაწილეობის მიღება. უმჯობესი იქნება თუ სტუდენტებისთვის შემუშავდება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წამახალისებელი ღონისძიებები.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სტუდენტურ კონფერენციებში რომელიც უნივერსიტეტის მასშტაბით იმართება წელიწადში ერთხელ. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომებს წარადგენენ აღნიშნულ კონფერენციებზეც. გარდა უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებებისა

სტუდენტებს ელ-ფოსტის საშუალებით ეგზავნებათ ინფორმაცია სხვა ადგილობრივი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის ბაზაზე ხელმისაწვდომია სამეცნიერო ბაზები და თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტში და მის გარეთ, პირადი ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წვდომა აქვს აღნიშნულ ბაზებზე, თუმცა ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ ფლობენ ინფორმაციას სამეცნიერო ბაზების შესახებ და შესაბამისად, არ იყენებენ ნაშრომებზე მუშაობისას. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები დროგამოშვებით უზრუნველყოფენ ტრენინგებს აღნიშნული ბაზებით სარგებლობის შესახებ, უმჯობესი იქნება სტუდენტების მეტად ინფორმირებულობა. ასევე, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს ქმედითი ღონისძიებები სტუდენტების კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაში ჩასართავად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი • სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები • ინტერვიუს შედეგები • ვებ-გვერდი • პერსონალის სამუშაო აღწერილობები • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • უმჯობესი იქნება თუ სტუდენტებისთვის შემუშავდება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის წამახალისებელი ღონისძიებები. • სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვისა და სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისათვის საჭირო ქმედითი ღონისძიებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საინფორმაციო სისტემების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ნაშრომების ხელმძღვანელობა ხორციელდება უნივერსიტეტში განსაზღვრული პროცესის შესაბამისად. სამაგისტრო საფეხურის მეორე წლის შემოდგომის სემესტრიდან პროგრამის ხელმძღვანელის მეთაურობით იკრიბება ნაშრომების ხელმძღვანელობის ყველა კანდიდატი და ერთობლივი შეხვედრების საფუძველზე განსაზღვრავენ მომავალი სამაგისტრო ნაშრომების შესაძლო საკითხების ჩამონათვალს იმ რაოდენობით, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ არჩევანის საშუალება. სამაგისტრო ნაშრომებისთვის საკითხების ჩამონათვალის შემუშავება ხდება ხელმძღვანელთა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების მიხედვით. მას შემდეგ რაც შემუშავდება საკითხთა ჩამონათვალი, სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი თემის მიხედვით ხელმძღვანელი და შემდეგ ეტაპზე მათთან ერთად ხდება ნაშრომის თემის განსაზღვრა. გაზაფხულის სემესტრიდან კი სტუდენტები იწყებენ ნაშრომზე მუშაობას და პროცესში სისტემატური შეხვედრები აქვთ ხელმძღვანელებთან. გარდა ინდივიდუალური შეხვედრებისა, სემესტრში რამდენჯერმე ხდება ჯგუფურად შუალედური წარდგენები სადაც სტუდენტები იღებენ რჩევებს და უკუკავშირს. სემესტრის ბოლოს მტკიცდება კომისიის შემადგენლობა რომელიც შეაფასებს სამაგისტრო ნაშრომებს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულებაა, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი უნივერსიტეტს არ ჰქონია წარმოდგენილი. სასურველია, თუ არარსებობის შემთხვევაში შემუშავდება ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუს შედეგები ○ ხელშეკრულების ნიმუშები ○ აკადემიური პერსონალის CV-ები ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია თუ შემუშავდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
-----------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული სისტემები“ განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, რომლებიც მოწვეულნი არიან თსუ-ს შესაბამისად დადგენილი წესების მიხედვით.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო და პედაგოგიური აქტივობებით.

მონათესავე დარგის პროგრამებიდან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პირებიდან, ასისტენტ-პროფესორებისა და დოქტორანტების გარდა, ყველა ჩართულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაში, გარდა ამისა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის მოწვეული ყავთ მონათესავე დარგის საგანმანათლებლო პროგრამიდან ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი, რომელიც პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის,

შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; აკადემიურ პერსონალი არჩეულია ღია კონკურსის წესით და ისინი სრულად აკმაყოფილებენ თსუ-ს მიერ, მათ მიმარ წაყენებული დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (დადგენილება №118/2014, 22 დეკემბერი, 2014, „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/1182014k. დანართ დოკუმენტებში წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის როგორც CV, ასევე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სადაც მოცემულია მათი მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები (რომლებიც გადაამოწმა ექსპერტთა ჯგუფმა) და მათი კვალიფიკაცია დასტურდება აგრეთვე მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, გამოცემული მონოგრაფიებით და სასწავლო სახელმძღვანელოებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია მათივე გამოცემულ - სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიასთან“ (თსუ-ის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ბრძანება №05-03, 07.03.2018) და გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნამდვილად არის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ სტუდენტთა გამოკითხვები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; ○ ხელშეკრულების ნიმუშები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამაში უფრო მეტი ახალგაზრდა პრაქტიკოსი კადრის ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს თვითშეფასების კითხვარი (აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილება), რომელსაც აკადემიური და მოწვეული პერსონალი ავსებს ყოველი წლის დასაწყისში. აღნიშნული კითხვარი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას.

სტუდენტების მიერ ელექტრონული პორტალის საშუალებით (LMS) ყოველსემესტრულად ხორციელდება ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდების, ლიტერატურის და ა.შ. გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ნებაყოფილობითია, ამიტომ სტუდენტთა დიდი რაოდენობა არ იღებს მონაწილეობას, თუმცა სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი საკითხის თაობაზე შეუძლიათ, მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს. გამოკითხვების შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად აცნობს პერსონალს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. აქვთ საერთაშორისო პუბლიკაციები. ასევე აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში (Erasmus+ EU, DAAD, Fulbright Program)

პროფესიული განვითარების მიზნით ფაკულტეტი წელიწადში ორჯერ ატარებს სამეცნიერო კონფერენციას, სადაც მონაწილეობა სავალდებულოა პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალისთვის. უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს ასევე სთავაზობს ყოველწლიურად გამოყოფილ თანხას (2000 ლარის ოდენობით), სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ასევე წახალისების მიზნით მაღალ რეიტინგულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში ფაკულტეტი გასცემს სახელფასო ერთჯერად დანამატს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები; ○ ინტერვიუს შედეგები ○ სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ online რეჟიმში. ამასთან, უნივერსიტეტმა ვიზიტის დასრულებამდე გამოგზავნა გადაღებული ვიდეო ფაილები, სადაც ნაჩვენებია: რესურსცენტრი, კომპიუტერული კლასები მასში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მახასიათებლების კადრებით, სააუდიტორიო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ქსელების და კომპიუტერული სისტემების ლაბორატორიები (Cisco Lab, Server და სხვა). უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა, ყველა სააუდიტორიო ოთახი აღჭურვილია პროექტორით და ყველა სხვა საჭირო რესურსით. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკით, რომელიც ხშირად ახლდება. უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური სწავლების შემთხვევაში, თუ სტუდენტები საჭიროებენ კომპიუტერებს ან ინტერნეტს, უნივერსიტეტი მათ სთავაზობს რესურსცენტრში არსებული კომპიუტერებით სარგებლობას. არაა წარმოდგენილი ლაბორატორიაში სტუდენტთა დაშვების რაიმე წესი, რომელიც ითვალისწინებს პანდემიის პირობებში, რეკომენდაციების დაცვით, როგორ შეიძლება სტუდენტმა ისარგებლოს ადგილზე კომპიუტერით, თუმცა გასაუბრებლას დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ რესურსცენტრით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევათ.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის ფარგლებში ახალი ინოვაციური ლაბორატორიის მოწყობაც.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა ის სავალდებულო ლიტერატურა/ელექტრონული რესურსები, რომელიც განსაზღვრულია სილაბუსებში. პერიოდულობით ხორციელდება ახალი წიგნების შეძენაც, რომელიც ბოლოს ამა წლის ზაფხულში განხორციელდა. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის ვიდეო თვალთ დათვალიერების დროს წარმოგვიდგინეს ლიტერატურა, რომელთა შეძენაც განხორციელდა ბოლოს 2020 წლის ზაფხულში. სტუდენტებს ელექტრონულ რესურსებთან წვდომა ასევე შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან. უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით ბიბლიოთეკის პლატფორმიდან, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის შენობის გარედანაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი კომპიუტერებით და სტუდენტებს უწევთ რესურსცენტრში კომპიუტერებით სარგებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ რესურსების ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ექსელის ფაილი); ○ ინტერიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრალობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ფინანსური რესურსებით, კერძოდ: პროგრამაზე სულ 18 მაგისტრანტის მიღება აქვთ დაგეგმილი, შესაბამისად 2 სასწავლო წლის განმავლობაში 36 მაგისტრანტის სასწავლო პროცესს გეგმავს ფაკულტეტი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია როგორც პედაგოგიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება, ასევე ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მივლინებისათვის. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია ცენტრალური ხარჯებიც, რაც საბოლოო ჯამში დაახლოებით 33 000 ლარია. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები ბევრად ნაკლებია პროგრამის ხარჯვით ნაწილთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტს აქვს მონათესავე დარგის რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა, დაწესებულების წარმომადგენლები მაინც მიიჩნევენ, რომ ამ პროგრამის განვითარება მათთვის აუცილებელია და რადგანაც პროგრამაზე სტუდენტთა სწავლის სურვილიც მაღალია, მათი ვალდებულებაა ხელი შეუწყონ ამ დარგის სტუდენტების სწავლას. აქედან გამომდინარე ბიუჯეტიც ძირითადად ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებებით ბალანსდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამას ჰქონდეს გარკვეული ტიპის საგარანტო დაფინანსება ინდუსტრიისაგან, მათთვის პროექტების განხორციელების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსაკუთრებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს თსუ-ში კოორდინირებას უწევს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, სადაც შემუშავებული აქვთ სტუდენტთა და პედაგოგთა ცოდნის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების სისტემა. სისტემა მოიცავს 7 სხვადასხვა აქტივობას სადაც, ჩართულია როგორც პედაგოგიური პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ინდუსტრიის წარმომადგენლები. ჩამოყალიბებული აქვთ პროგრამის დაგეგმვის, შექმნის განხორციელებისა და განვითარების სისტემა. გარდა ამისა, ABET-ის აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული აქვთ მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს. ამ აქტივობებს ასრულებს ყველა პედაგოგი მისი საგნის შედეგების შესაფასებლად და სწავლების

ხარისხის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია რომ, 2020 წლიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა პროგრამის სტუდენტების ჩართვა საპილოტე პროექტში „Building student capacities to ensure their involvement in TSU quality assurance“, რომელიც გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართვას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. პროექტი განხორციელდება ორგანიზაციის Student Partnerships in Quality Scotland (Sparqs) (შოტლანდია) მხარდაჭერით. დანართში წარმოდგენილ კითხვებზე დაფუძნებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის როგორც აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, ასევე დამსაქმებლები და კურსდამთავრებულებიც, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობით აქტიურად არიან ჩართული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შექმნაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილებით „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარების, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“. ○ გამოკითხვის ფორმები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის გარე შეფასება ხდება თსუ-ში ხარისხის სამსახურის მიერ დანერგილი წესებისა და მეთოდების შესაბამისი სისტემით, რომელიც საჯაროა და შესაბამისად ხელმისაწვდომია პედაგოგიური პერსონალისთვის. სისტემა ითვალისწინებს “დაგეგმე - განხორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს. ასევე დამტკიცებულია თსუ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა. ძირითადი მიმართულებებია: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, საგანმანათლებლო საქმიანობა, სტუდენტური ცხოვრება, ინსტიტუციური განვითარება. თითოეული სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები/ინდიკატორები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, ფინანსური რესურსი. ფაკულტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და კვლევითი აქტივობების განხორციელებას, სადაც ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოწმდება და ფასდება აკადემიური პერსონალის როგორც პედაგოგიური საქმიანობა, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხი. ფაკულტეტს ასევე აქვს მრჩეველთა საბჭო (რომლის ძირითადი ბირთვია კურსდამთავრებულები, ინდუსტრიის წარმომადგენლები და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი), რომლის რეკომენდაციებით ხდება პროგრამის განახლება ან ცვლილება, აუცილებლობის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ ბაზრის კვლევა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია გარე შეფასების მექანიზმში ჩაერთოს ინდუსტრიის წარმომადგენელი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უდს-ში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას.

კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება: პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით და კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმებისა თუ სხვა სახის აქტივობებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA დინამიური სისტემის მიხედვით თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და მას აქვს უწყვეტი ხასიათი. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკაში არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტური ანალიზი სასწავლო კურსებთან მიმართებაში და განისაზღვრება რომელი სასწავლო კურსის/კურსების დახმარებით რა ტიპის სწავლის შედეგი/შედეგები მიიღწევა. გაკეთებულ მონაცემთა ანალიზის მიხედვით შესაძლებელია პროგრამაში განხორციელდეს ცვლილებები (სასწავლო კურსის დამატება, ან ამ სასწავლო

კურსის მოდიფიცირება). უნდა აღინიშნოს, რომ გასაუმჯობესებელია კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, გასაუმჯობესებელია წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი დამსაქმებელი და მათგან ერთი ასევე იყო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ასევე მოწვეული პერსონალი. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დასაქმების რესურსი აქვთ მცირე, ამიტომ საჭიროა არაფორმალურ კომპონენტთან ერთად შემუშავდეს ფორმალურიც და მოხდეს დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა. უშუალოდ კითხვარები შესაძლოა უფრო შემოკლდეს და შეიცავდეს კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებს, რაც თავის მხრივ დაზოგავს კითხვარის შევსების დროს და გაზრდის უკუკავშირსაც
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ○ გამოკითხვის შედეგები ○ გამოკითხვის ფორმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაუმჯობესდეს კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, მოხდეს დამსაქმებლების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა. კითხვარები უფრო შემოკლდეს და შეიცავდეს კონკრეტულ მიზნობრივ კითხვებს, რაც თავის მხრივ დაზოგავს კითხვარის შევსების დროს და გაზრდის უკუკავშირსაც
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინფორმაციული სისტემები, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გულადი ფარტენაძე



ნინო სიხარულიძე

